შპს „რესტორანი ძველი მეტეხი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 206274306)
თანხმობა ნებისმიერი სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების
წარმოებაზე, ნებართვის აღებაზე და წითელი ხაზის კორექტირებაზე

ქ. თბილისი 09 ივნისი 2014 წელი

მე, შპს „რესტორანი ძველი მეტეხი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 206274306) დირექტორი ქეთევან დოდაშვილი (პირადი ნომერი 01005004568, დაბადების თარიღი: 09/12/1970 წელი) ვაცხადებ უპირობო და გამოუხმობად თანხმობას მასზედ, რომ შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“-მა (საიდენტიფიკაციო კოდი 405045696, რეგისტრაციის თარიღი 30.05.2014 წ.) თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს სამშენებლო/სარემონტო/სარეკონსტრუქციო/სადემონტაჟო თუ სხვა სახის სამუშაოები ქ. თბილისი, მეტეხის აღმართი №3 მისამართზე მდებარე შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“-ის კუთვნილ შენობა-ნაგებობის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: 01.17.01.117.039), რომელიც განთავსებულია თანასაკუთრებაში არსებულ 703 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „რესტორანი ძველი მეტეხი“ უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ მოიპოვოს/მიიღოს მშენებლობის ნებართვა და ყველა სხვა აუცილებელი დოკუმენტი. სამუშაოების განხორციელების შემდეგ, შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ უფლებამოსილია დამატებითი თანხმობის ან სხვა პირობის შესრულების გარეშე მოახდინოს განხორციელებული სამუშაოების შედეგად საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების კორექტირება/რეგისტრაცია (შენობა-ნაგებობის ან/და მიწის ფართობის გაზრდა/შემცირება, წილობრივი მონაწილეობის შეცვლა და სხვა).

ასევე შპს „რესტორანი ძველი მეტეხი“ უფლებამოსილია რაიმე დამატებითი თანხმობისა და რაიმე პირებების შესრულების გარეშე მოახდინოს მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.01.117.039) წითელი ხაზების ფარგლებში მოქცევის მიზნით, შენობა-ნაგებობის ქვეშ მდებარე თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული წითელი ხაზების კორექტირება. ამ მიზნით შპს „რესტორანი ძველი მეტეხი“ უფლებამოსილია შეადგინოს მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.01.117.039) საზღვრების ახალი აზომვითი ნახაზი და შეათანხმოს აღნიშნული ნახაზი ნებისმიერი სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, მათ შორის ქ. თბილისის მერიასთან და ნებისმიერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან და სხვა, გააერთიანოს მიწის ნაკვეთი სხვა ნაკვეთთან, დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში შენობა-ნაგებობის ან/და მიწის ნაკვეთის ახალი აზომვითი ნახაზი და შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება.

თანხმობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და იგი არ გაუქმდება ნაკვეთის საკადასტრო კოდის (საკადასტრო კოდი: 01.17.01.117.039) შეცვლის შემთხვევაშიც კი.

შპს „რესტორანი ძველი მეტეხი“-ს
დირექტორი ქეთევან დოდაშვილი

ორი ათას **თოთხმეტი წლის ცხრა ივნისს** მე, მარიკა გოგოლაძეს, ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №183 მომმართა **ქეთევან დოდაშვილმა** (დაბადების თარიღი: 09.12.1970წ. დაბადების ადგილი: თბილისი, მისამართი: **თბილისი კ.მესხის ქ. N 44** პირადობის მოწმობის სერია: 13IE14111 3/#01005004568 მოწმობის გამცემი ორგანო: იუსტიციის სამინისტრო, გაცემის თარიღი: 27.03.2014წ.), **მან მოითხოვა მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე,** ნოტარიატის შესახებ კანონის 38-ე მუხლის „ზ“ პუნქტისა და სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობების საფუძველზე. შევამოწმე ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. **ქეთევან დოდაშვილს** განვუმარტე: სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის თანახმად, წინამდებარე **დოკუმენტზე,** დამოწმებისას ნოტარიუსი ადასტურებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის; ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილ ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მათ ნამდვილობაზე.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ორი ლარი + დღგ ოცდათექვსმეტი თეთრი, + ორი ლარი რეგისტრაციის საზღაური, სულ ოთხი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ დადგენილებისა (29 დეკემბერი, 2011 წ. №507) 31(III), 39 და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლებისა.

ნოტარიუსი: მარიკა გოგოლაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140584617
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	09.06.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მარიკა გოგოლაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	საქართველო ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი #183
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(995 32) 234 81 66 marikagogoladze@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	29759575954914

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140843626
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.08.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	მარიკა გოგოლაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	საქართველო ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი #183
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(995 32) 234 81 66 marikagogoladze@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	03483129460114

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18